ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7995763

ნომერი: AR11149126

თარიღი : 23.06.2026

გაცემის თარიღი : 08.07.2026

გაცნობის თარიღი : 09.07.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ავლევის ქ. N12;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ნონიკაშვილი პ/ნ 01019017946
- თბილისი, თამარაშვილი 13 ო

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- II კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ჯუმბერ მოდებაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: სს საქართველოს ბანკი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204378869
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ზურაბ ალფაიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 60001041187

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 16 მაისის №7026125 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 16 მაისის №7026125 ბრძანებით შეთანხმებული იქნა ქ.თბილისში, (სექტორი - კრწანისი) ავლევის ქ. N12-ში, მოქ. ალექსანდრე ბურჭულაძეს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.18.03.019.020) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 16 მაისიდან 2026 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით.

2026 წლის 23 ივნისის AR11149126 განცხადებით სამსახურს მომართა მოქ. გიორგი ნონიკაშვილმა და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2024 წლის 16 მაისის №7026125 ბრძანებაში სამუშაოების დასრულების თარიღში ცვლილების განხორციელება.
სამსახურმა საკითხის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 16 მაისის №7026125 ბრძანებაში კერძოდ: ჩანაწერი "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 16 მაისიდან 2026 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით", შეიცვალოს ჩანაწერით "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 08 ივლისიდან 2028 წლის 08 იანვრის ჩათვლით."
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 16 მაისის №7026125 ბრძანებასთან ერთად.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.